

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 23

ქ.თბილისი

2021 წლის 26 იანვარი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2021 წლის 26 იანვარს. სხდომა ჩატარდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

ონლაინ სხდომაში მონაწილეობდა კომისიის 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ედუარდ ნაჭყეაბია, ლაშა მაჭავარიანი, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის მ. გოგუაძის ოქმი, ვიდეომასალა, მატჩის მთავარი მსაჯის ი. ჭანუყვადის საითინგი, მოუსმინა პატარძელის „ვეფხვები“-ს მენეჯერს სანდრო პავლიაშვილს, ამა წლის 24 იანვარს, დიდი 10-ს მატჩზე, თბ „აკადემია“-სა და პატარძელის „ვეფხვები“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. პატარძელის „ვეფხვები“-ს წარმომადგენელი სანდრო პავლიაშვილი - მატჩის ოფიციალურ პირთა სიტყვიერი შეურაცხყოფა.
2. პატარძელის „ვეფხვები“-ს მორაგბე ვეფხია უსტიაშვილი - მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.4, 2.2.4 პუნქტებით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. პატარძელის „ვეფხვები“-ს წარმომადგენელი სანდრო პავლიაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 1(ერთი) წლით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 2000(ორი ათასი) ლარით.
2. პატარძელის „ვეფხვები“-ს მორაგბე ვეფხია უსტიაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 300(სამასი) ლარით.
3. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 26 თებერვლამდე.
4. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, პატარძელის „ვეფხვები“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/